ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3987181

ნომერი: AR1589830

თარიღი : 03.04.2018

გაცემის თარიღი : 30.05.2018

გაცნობის თარიღი : 01.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გახოკიძე , N24-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გახოკიძე , N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ხუხაშვილი პ/ნ 01007005565
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 31 ბ. 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ოქტომბრის №1513629 გადაწყვეტილებით დამტკიცებულმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 9 თებერვალს AR1576332 განცხადებით მომართა მოქალაქე ოთარ ხუხაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 15 ოქტომბრის №1513629 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 2014 წლის 15 ოქტომბრის №1513629 გადაწყვეტილებით №01.19.19.004.003

საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 4829 კვ.მ.) გაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტის ცვლილებას და ნაცვლად გაზგასამართი სადგურისა სურს არსებული #1/1 და #2/1 შენობების რეკონსტრუქცია საწყობის ფუნქციით. ამასთან განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი. (საკადასტრო კოდი: 01.19.19.004.076 განცხადების ნომერი: 882016872735 მომზადების თარიღი: 30/12/2016 ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო ფართობი: 5059 კვ.მ)
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2014 წლის 15 ოქტომბრის №1513629 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლიელება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ოქტომბრის №1513629 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
   - საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს არსებული #1/1 და #2/1 შენობების რეკონსტრუქცია სასაწყობე ფუნქციით;
   - დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო მონაცემები: საკადასტრო კოდი: 01.19.19.004.076; განცხადების ნომერი: 882016872735; მომზადების თარიღი: 30/12/2016; ფართობი: 5059 კვ.მ.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 ოქტომბრის №1513629 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.